დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.დმანისი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 12 08
21/02/2020

დმანისის მუნიციპალიტეტისათვის საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შესყიდვისა და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის უფლებამოსილებების დელეგირების შესახებ ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, მე-17 მუხლის მე-3 პუნქტისა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 12 თებერვლის №07/597 წერილის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს 2020 წლის 09 იანვარს, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიასა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ,,დმანისის მუნიციპალიტეტისათვის საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შესყიდვისა და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის უფლებამოსილებების დელეგირების შესახებ''(ხელშეკრულება თან ერთვის).
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

მერაბ ოქრიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე

12-08-4-202002211233
https://edocument.ge/KvemoKartli/public/#/

დანართი №1

დმანისის მუნიციპალიტეტისთვის საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შესყიდვისა და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის უფლებამოსილებების დელეგირების შესახებ ხელშეკრულება

ქ. თბილისი 09 იანვარი, 2020 წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო (შემდგომში - „სამინისტრო“) წარმოდგენილი მინისტრის - მიხელ ჩხენკელის სახით,

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო (შემდგომში - „სააგენტო“) წარმოდგენილი დირექტორის - ზვიად როსტომაშვილის სახით,

დმანისის მუნიციპალიტეტი, (შემდგომში - „მუნიციპალიტეტი“) წარმოდგენილი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის - გიორგი ტატუაშვილის სახით,

ერთად წოდებულნი როგორც - „მხარეები“,

ვხელმძღვანელობთ რა, საქართველოს კონსტიტუციის 75-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-17 მუხლით, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28^2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 09 იანვრის №27 განკარგულებით, ვთანხმდებით შემდეგზე და ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. სამინისტრო, 1 (ერთი) წლის ვადით, მუნიციპალიტეტს, დელეგირებული უფლებამოსილების სახით, გადასცემს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზით საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შესყიდვისა და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის უფლებამოსილებებს (შემდგომში - „დელეგირებული უფლებამოსილებები“), გარდა მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებისა, რომლებსაც დაასრულებს სააგენტო.

1.2. მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულებით მასზე დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

1.3. დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებაზე დარგობრივ ზედამხედველობას გასწევს სამინისტრო (შემდგომში - „დარგობრივი ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანო“).

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. სამინისტრო:

2.1.1. ახორციელებს მუნიციპალიტეტებისთვის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებაზე დარგობრივ ზედამხედველობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

2.1.2. უფლებამოსილია, მოითხოვოს დარგობრივი ზედამხედველობის განხორციელებისთვის აუცილებელი ნებისმიერი ოფიციალური დოკუმენტი და ინფორმაცია, მათ შორის, სამართლებრივი აქტები და ადმინისტრაციული წარმოების მასალები.

2.1.3. უფლებამოსილია მუნიციპალიტეტისგან მოითხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაცვა და კეთილსინდისიერი შესრულება.

2.2 სააგენტო:

2.2.1. ამ ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით, უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტისთვის შესაბამისი ფინანსური რესურსების გადაცემას საქართველოს მთავრობის 2020 წლის 09 იანვრის №27 განკარგულების შესაბამისად.

2.3. მუნიციპალიტეტი:

2.3.1. ვალდებულია, განახორციელოს დელეგირებული უფლებამოსილებები კეთილსინდისიერად, სრულად, თავიანთი პასუხისმგებლობით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2.3.2. დელეგირებული უფლებამოსილებების ჯეროვნად განხორციელების მიზნით, ვალდებულია, შეასრულოს/გაითვალისწინოს სამინისტროს მიერ დარგობრივი ზედამხედველობის განხორციელების ფარგლებში გაცემული სარეკომენდაციო ინსტრუქცია.

2.3.3. დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის გადაცემული რესურსები გამოიყენოს მიზნობრივად.

2.3.4. ვალდებულია, დარგობრივი ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოს ან/და სააგენტოს მიერ მოთხოვნილი დოკუმენტი და ინფორმაცია მიაწოდოს მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

2.3.5. უფლებამოსილია, დელეგირებული უფლებამოსილებები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში, განახორციელოს ადგილობრივ პირობებთან მისადაგებით.

მუხლი 3. ფინანსური უზრუნველყოფა

3.1. დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებული შესაბამისი ფინანსური რესურსი გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივი ტრანსფერის გადაცემით გზით.

3.2. ამ ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზით საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შესყიდვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტისათვის შესაბამისი ფინანსური რესურსების გადაცემას „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის შენიშვნის შესაბამისად (პროგრამული კოდი: 25 07 04 – ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია - მუნიციპალიტეტებში), საქართველოს მთავრობის 2020 წლის 09 იანვრის №27 განკარგულების გათვალისწინებით.

3.3. ამ ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, სააგენტო უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტისათვის შესაბამისი ფინანსური რესურსების გადაცემას „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის შენიშვნის შესაბამისად (პროგრამული კოდი: 32 02 11 – საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა), საქართველოს მთავრობის 2020 წლის 09 იანვრის №27 განკარგულების გათვალისწინებით.

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების პირობები

4.1. ხელშეკრულება ძალაში 2020 წლის 9 იანვრიდან.

4.2. ხელშეკრულება მოქმედებს 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.3. ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ნებისმიერ დროს.

4.4. რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს ცალმხრივად, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5. ხელშეკრულების დამატებითი პირობები

5.1. ხელშეკრულების რომელიმე მუხლის ან მისი პუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას.

5.2. საკითხები, რომელიც წარმოიშობა მხარეთა შორის და რომლებიც რეგულირებული არ არის ამ ხელშეკრულებით, გადაწყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში - მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.3. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

5.4. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით.

5.5. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, დავას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გადაწყვეტს საქართველოს სასამართლო.

5.6. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

მუხლი 6. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	დმანისის მუნიციპალიტეტის მერი
ს/კ 202051224	ს/ნ: 228928391
მისამართი: თბილისი, დ. უზნაძის N52	მისამართი: ქ. დმანისი, წმინდა ნინოს ქ.N41

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო

ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

ს/კ 202294980

მის: თბილისი, მ. ალექსიძის N1, სართ. II.